

დამტკიცებულია
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის
რექტორი ს. მაჭარაშვილი

ბრძანება N2/169; 11.10. 2019 წ.

ცვლილებები შესულია რექტორის 2020 წლის 9 ივნისის N2/34 ბრძანებით



შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

აღმზრდელი

პროგრამის ხელმძღვანელი: შორენა ფარქოსაძე

საკონტაქტო ინფორმაცია: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

მისამართი: საჩხერე, ივანე გომართელის ქ. N10.

ტელ: 598 17 02 71

www.bta.edu.ge email: btaedu@yahoo.com

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

- აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდებაა „აღმზრდელი“.
- აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერია 02117-3.

2. პროგრამის მიზანი

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

პროგრამის დასრულების შედეგად პირს მიენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში/Higher Vocational Qualification in Preschool Education

4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება

5. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

6. სტრუქტურა და მოდულები

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად სავალდებულო მოდულს, ჯამში 11 კრედიტის მოცულობით და 24 სპეციალიზაციის პროფესიულ /დარგობრივ მოდულს, ჯამში 105 კრედიტის მოცულობით,

- პროფესიულ კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **116 კრედიტი**.
- „მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. ქართული ენა A2-15 კრედიტი, ქართული ენა B1 -15 კრედიტი
- ქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის **116 კრედიტი**, სწავლის ხანგძლივობა **18 სასწავლო თვე**
- არაქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის **146 კრედიტი**, სწავლის ხანგძლივობა **23 სასწავლო თვე**

აღმზრდელი		
ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 3	3
2	უცხოური ენა - ინგლისური	5
3	მეწარმეობა 3	3
სულ:		11
პროფესიული/დარგობრივი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - სკოლამდელი აღზრდა და განათლება	2
2	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში	5
3	ბავშვის განვითარების თავისებურებები	4
4	პროფესიული ეთიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	3
5	ადრეული განათლების კურიკულუმები	5
6	დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	6
7	თანამედროვე გამოწვევები ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	2
8	საგანმანათლებლო გარემო	8
9	ოჯახის და თემის ჩართულობა	3
10	ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	9
11	ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	6
12	დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	3
13	კომუნიკაცია, ენა, მეტყველება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	4
14	წიგნიერება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	3
15	ფიზიკური და სენსორული განვითარების ხელშეწყობა ადრეულ და	2

	სკოლამდელ ასაკში	
16	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	5
17	სახვითი და ვიზუალური ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	3
18	პერფორმანსული ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	3
19	მათემატიკური წარმოდგენების ფორმირება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	4
20	კვლევა და აღმოჩენა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	5
21	კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	3
22	ტექნოლოგიების გამოყენება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	2
23	მუსიკა და მოძრაობა ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში	3
24	პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება	12
სულ:		105

8.სწავლის შედეგები

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ა) ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- ბ) მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელი პროცესის დაგეგმვა და მართვა;
- გ) ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება;
- დ) წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელი გარემოს შექმნა.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა . მოდულური პროგრამის ადაპტირება/დანერგვისთვის რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შეიქმნა შიდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულების განმახორციელებელი პირები. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

1. კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.
2. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
 - ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
 - ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
 - გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
3. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები სახით მოცემულია მოდულებში.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

